


თუ აღმაინი ვერ იცნობს მანქანებს, სასუქებს, არ შეუძლია მათი გამოყენება, ვერ იცნობს იმ კულტურას, რომელიც უნდა თესოს და მოიყვანოს, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რა შედეგები მოჰყვება ამას...

ასეთ მუშაკებს ჯერ კიდევ სძლევენ ძველი ჩვევები — აჩიქნა მონას, ჩაყარონ მარცვალს ნიადაგში და ელიან, იქნება თუ არა მოსავალი.

(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის 1964 წლის 13 აპრილის ბარათიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი).



— რას ეძებს მეზობელი კოლმეურნეობის ბრიგადირი, ყოველდღე რომ წამოწვება და მონას დასცქერის?  
— მიწა აჩიქნა, მარცვალი ჩაყარა, სასუქი მოაბნია და ახლა მოსავალს ელის!

ნახ. ჯ. ლილუასი



№ 9 თბილისი მაისი 1964

# ნიაზე

ბაგოცემის 41-ე მფლი. შანი 20 კაპ.

ივანე გიორგისძე ტუქსიშვილს, დაბადებულს 1934 წელს დუშეთის რაიონის სოფელ შარახვეში, ცოლ-შვილიანს, პროფესიით... თუმცა პროფესიაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი... სწავლა-განათლებისათვის არასოდეს არ შეუწყობია თავი და ცოდნით არ გამოუტენია იგი, მაგრამ ჯიბეების ფულით გამოტენა მიზნად თავიდანვე დაუსახავს და დროდადრო უიღბლოდ, მაგრამ საერთოდ, არათუ ცუდად, „სანაქებოდ“ მომსახურებია მას.

ამ უკანასკნელ ჩასამდე, სულ რაღაც ორჯერ ჩაუსვამთ იგი: 1953 წელს და 1957 წელს.

1962 წელს დღის სინათლეზე გამოსულა და ისევ და ისევ ნაცადი საქმისათვის მოუკიდნია ხელი.

ცოდნა ცოდნაა, მაგრამ ალღოც ბევრს ნიშნავს და სწორედ ალღოს უსწავლუბია მისთვის, რომ აღამიანები ბუნებით მიმნდობნი, მიამიტები და გულუბრყვილოები არიან.

და რადგანაც ასეთები არიან ისინი, მათი ისეთი საქმისათვის გამოყენება მოუნდომებია ივანე ტუქსიშვილს, რომელიც მისთვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა და გამოუსწორებელ მიამიტებსაც ერთხელ და სამუდამოდ ასწავლიდა ჭკუას.

სამი ოთახი ჰქონია ტუქსიშვილს თბილისქალაქის ოქოს ქ. № 15-ში, 1963 წლის იანვარში ორი ოთახი ვინმე მიქელაძისათვის მიუყიდა 2.500 მანეთად, ხოლო შესამე ოთახი ანუ მინაშენი — მ. ლიპარიდისათვის 1.500-ად, ლიპარიდი არ ჩაუწვრია და ისე ჩაუსახლებია, მერე იგივე ოთახი ს. გუსეასთვის მიუყიდა 1.300 მანეთად, და, რადგანაც დემრთი სამობითაა, შესამედაც 1.400 მანეთად მიუსაღებია გ. საცერაძისთვის. ფულები ჯიბეში ჩაუწყვია, და ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწაში ოთახების არა ერთგზის მყიდველებს ვერა გაუვიათ რა.

ტუქსიშვილის მოღვაწეობა ამით არ დამთავრებულა, მალე დაფაცურებულა იგი, ადიგენის რაიონის სოფელ არალში ჩასულა, თავი კოოპერატორის დარბაისელ წარმომადგენლად გაუსაღებია, უთქვამს ჩამოვსულვარ გაჭირვების ტალკვესად, ვაშლი რომ არ დაგილბეთ და ნაღდი ფულებით ჯიბეები „ჩაიკოკლოწინოთ“ იმისათვის ვიდრე და თქვენც მიშველეთ და მეც გიმეღლითო, ხომ იცით, ხელი ხელს რომ ბანსო.

ი. და შ. ჩილინგარიშვილებს, ს. აფრიაშვილს, მ. ფეიქრიშვილს და პ. ბათმანიშვილს აუთვალეორ-ჩაუთვალეორებით ივანე ბატონი, რა თქმა უნდა, სანდო კაცად უცნიათ, თითო კილოს კვალობაზე მანეთნახევარზე შეთანხმებულან, 7.476 კგ ვაშლი დაუხვავებიათ, ტუქსიშვილი 10.727 მანეთის გადასდას შეპირებია, მერე ფული ხელზე არა მაქვს, არც გადაზიდვის თავი მაქვს, თქვენვე თქვენი ხარჯით თბილისში ჩამიტანთ, გაყიდი და საფასურს მაშინ ჩაგაბარებთო, — უთქვამს. მიამიტებს ვაშლი თბილისში ჩამოუზიდნიათ, ივანე ბატონს გაუყიდა იგი, ნავაჭრის საიმედო შესანახ ადგილად საკუთარი ჯიბეები უცნია — და მერე... მალულად კი არა, აშკარად მიმალულა.

არც ამჯერად დამთავრებულა მისი მოღვაწეობა.

იმავე წლის მაისში გორის რაიონის სოფელ კორძში ჩასულა, ისევ იგივე ტიტული მიუწებებია. საკუთარი თავისთვის: გ. მარიამიძის და დ. დავითაშვილისათვის 4 ტონა ვაშლი გამოურთმევია, კილო მანეთნახევარად, გ. მარიამიძისთვის ვაშლის თბილისში ჩაზიდვა დაუვალებია. სოფელ დირბის მცხოვრებ ა. ბურუაშვილისათვის ხელწერილით 1.700 კგ ვაშლი გამოურთმევია და ისიც მარიამი-

შიდისათვის გამოუტანებია. მარიამიძის სახელზე თბილისკოოპერატორს — შ. მალაშვილს ჩაუბარებია ვაშლი — კილო 108 კაპიკად.

— ეს როგორაო? — უკითხავს მარიამიძეს, — აკი მანეთნახევარს შემპირდითო.

— შენ დარდი ნუ გაქვსო, უთქვამს ივანე ბატონს — ნავაჭრი ფული უკლებლივ მომეცი, სახლში შევირბენ, კილოში მანეთნახევარის კვალობაზე შევიცემ და ისე ჩაგაბარებო.

შეურბენია სახლში და მერე... შარშანდელი თოვლივით გამჭრალა და გადაკარგულა.

გზაც იქით ჰქონიაო, იქნება თქვას ვინმემ! არა, ბატონო, გზა ახლა ისევ გორის რაიონისაკენ ჰქონია, შინდისში ჩაბრძანებულა ივანე ბატონი, მაგრამ მარტო კი არა, დუშეთის რაიონის სოფელ თანიაანთკარში 1922 წელს დაბადებულ არსენ საბასძე თანიაშვილის თანხლებით, ჩაბრძანებულა და თავი გაუცნია შინდისელებისათვის: ცეკავშირის დამამზადებელი ვარ და მიცნობდეთო.

— ეს ვინ ბრძანდებო? — უკითხავთ შინდისელებს და არსენისაკენ მორცხვად გაუშვერიათ ხელი.

— ესო, ჩვენი საწყობის გამგე ბრძანდებო, — უბრძანებია ივანე ბატონს. კეთილი და პატიოსანით, უთქვამთ შინდისელებს, ასეთი საპატიო ხალხი ჩამობრძანებულხართ და სხვა რაღა დავგრჩენია, გვიბრძანეთ, როცა გვენბოთ და გვიმსახურეთ როგორც გვენბოთო.

გ. და შ. ფაცინაშვილების, კ. და ვ. ხუციშვილების 61/2 ტონა ვაშლი წამოუღიათ 800 მანეთის საკუთარი ხელით დაწერილი ხელწერილი დაუტოვებიათ, ვაშლი მეზობელ სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩაუტანიათ, იქ ნაწილის რეალიზაცია მოუხდენიათ, ნაწილი ივანეს ერმიადინში ჩაუტანია, იქ კილო 1 მან. და 60 კაპიკად ჩაუბარებია საკომისიო მაღაზიისათვის და ის-ის იყო მშვიდობით დაბრუნება განუზრახავს, რომ დაუკავებიათ, და ნავაჭრი ფულიც ჩამოურთმევიათ, თანიაშვილს ყალბი მოწმობა გაუშანსაღებია მოძმის დასახსნელად. ყალბი ცნობა ადგილზევე ჩამოურთმევიათ, მაგრამ რატომღაც და როგორღაც ტუქსიშვილი გამოუშვიათ.

არც აქ დასრულებულა მისი მოღვაწეობა.

20 აგვისტოს დუშეთის რაიონის სოფელ ახადში ჩასულა, პ. ლომინაშვილისაგან ერთი ძროხა და ორი მოხვერი „უყიდა“ 570 მანეთად, რადგანაც ფული „თან არა ჰქონია“, საკუთარი ხელწერილი დაუტოვებია, საქონელი მაღაროსკარში ჩაუყვანია, დამზადების პუნქტში ჩაუბარებია, 687 მანეთი და 88 კაპ. მიუღია და იყო და არა იყო რა, მიმალულა.

თქვენ წარმოიდგინეთ არც ახლა დასრულებულა მისი მოღვაწეობა.

14 სექტემბერს იმავე რაიონის სოფელ თორელანში ჩასულა როგორც დამამზადებელი, ვინმე ს. ბეჭაურისაგან ერთი უდისციპლინო ძროხა უყიდა 160 მანეთად, 60 მანეთი ზედ დაუტოვებია, ზედ 100 მანეთის ხელწერილი დაურთავს და ახლა ლ. ბეჭაურს ხლებია, რომელსაც ერთი დევეული, ერთი მოხვერი და ერთი ძროხა 500 მანეთად მიუცია.

— ფული ხელთ არა მაქვს და ხელწერილს მოგცემო, უთქვამს ტუქსიშვილს. — ხელწერილი რას მიქვიან, ვაჟაკი ვარ, ვაჟაკი ხარ და ვაჟაკურად გენდობი, ეგეთი მჟავე სიტყვები არ გამაგონო, ძმობა თუ გწამსო, — დაუტუქსავს ლ. ბეჭაურს ტუქსიშვილი და ვაჟაკურად ჩამოურთმევია ხელი, თანაც — ჩვენ რომ ხელი მოგვიმართე, დემრთმა შენც ხელი მოგიმართოსო, — ალალი გულით უსურვებია — როცა გაყიდი, ჩამომიტანეთ ფული და მანამდე ნუღარ შეწუხდებითო.

ტუქსიშვილს მანქანაზე დაუსვამს პირტუყვები და სულ ღიღინ-ღიღინით ჩამოსულა ქინვალში. იქ ჩაბარების პუნქტთან შეჩერებულა, საქონელი მანქანიდან ჩამოურთვია და, დახეთ უმადურებას, ს. ბეჭაურის უდისციპლინო ძროხას ტყისთვის მიუცია თავი.

— გაკიდებდა არა ღირსო, — უთქვამს ტუქსიშვილს და ლ. ბეჭაურის ძროხა მოხვერი და დევეული, მიუყვანია პუნქტში, იქ მოწმობები მოუთხოვიათ. ახლავე მოგიტანთო, უთქვამს ტუქსიშვილს, წასულა... და აღარ დაბრუნებულა... მაშინ დასრულებულა მისი მოღვაწეობა. ის და მისი მეგობარი გაუქაჩავთ და ქ. თბილისის ორჯონიკიძის სას. რაიონის სახალხო სასამართლოში მიუბრძანებიათ. სასამართლოს მუშაკებს აუწონ-დაუწონიათ ტუქსიშვილისა და მისი ძმა-კაცის ჩამოღვაწარი თბილისსა და ადიგენში, გორსა და დუშეთში, ერევანსა და ერმიადინში, პოდა, უთქვამთ, გეყოფათ ამდენი შრომა და ჯაფა, ხალხი აფასებდა და დააფასებს თქვენ მოღვაწეობას, და ახლა რამდენიმე წლით დაისვენეთო.

ნიანგს ბევრი ლაპარაკი და კომენტარი არ უყვარს, მაგრამ იმას კი მოგაგონებთ, მკითხველებო და არამკითხველებო, რომ არსებობს გონივრული რუსული თქმა:


„ენდე, მაგრამ შეამოწმებო“. დიას, ენდეთ და შეამოწმეთ, ნდობა კარგია, მაგრამ შემოწმებული ნდობა ჯობია.

ნახ. 8. აბაშიძისა



— ახლა საბავშვო მოთხრობების წერა დაიწყე?  
— მაშ როგორ მოვიქცე? ყველა რედაქტორი იმას მეუბნება ბავშვივით აზროვნებო!

გულჩვილი  
საზურავო



გალის რაიონის სოფელ წარჩი კლუბის გაძველ წარჩიებულად თუძაობდა წარჩილი ეკატერინე ჯოგოს ასული ქარდავა; ქალაქ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი ჰქონდა მას დამთავრებული პედაგოგის საეციალობით.

იმავე სოფელში ბიბლიოთეკაც არაებობდა და მას ბიბლიოთეკარიც ჰყავდა: ელეონორა მალხაზის ასული კვარაცხელია, სამუალო განათლებით.

იმ დროს, მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს კულტურის განყოფილებას ნ. გადელია ხელმძღვანელობდა.

აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრომ დაადგინა შეკვეცილიყო საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკარების შტატი, რაც უნდა ცხოვრებაში გაეტარებინა ავტორიტეტულ კომისიას, რომელსაც შემდეგი მითითებით უნდა ეხელმძღვანელა: სამუშაოზე უნდა დაეტოვებინა ის კადრები, რომლებიც თავს ართმევდნენ დაკისრებულ სამუშაოს და უპირატესობა სპეციალური განათლების მქონე პირებისათვის მიეცა.

ნ. გადელიამ ეს მითითება მაუღქვეშ ამოღო და თვითონ ჭრა და თვითონ კერა: ვინც „შეეცოდა“ ადგილზე დატოვა, ვინც არადა — მოხსნა და მოისვენა.

წარჩი კლუბის გამგის შტატი არ შემცირებულა, იქ ბიბლიოთეკარის შტატი შემცირდა. მაგრამ გადელიამ კლუბის გამგე, სპეციალური განათლების მქონე ეკ. ქარდავა მოხსნა და მის ადგილზე შტატით შემცირებული ყოფილი ბიბლიოთეკარი ე. კვარაცხელია დანიშნა. ასე სურდა ნ. გადელის და ასე გააკეთა ნ. გადელიამ.

იჩივლა ეკ. ქარდავამ და იჩივლა სამართლიანად. ნ. გადელია რომ არ მომკიდარიყო, ჩვენ გასული წლის 9 ივლისს გალში ვეახლეთ მას და ასეთი დაპირება მივიღეთ:

„არის საშუალება ერთი ან ორ თვეში მუშაობა გადაადგილებით იქნეს დაკმაყოფილებული ამხ. ეკ. ქარდავა“ (კულტურის განყოფილების გამგის სტილი დაყოლია).

გადელიას შეპირება შეპირებულად დარჩა, რედაქციაში მოცლილები სხედან.

ალბათ, მეტი საქმე არა აქვთ და იროს და არკვიონ, რაც მოეპრიანებათ, გადწყვიტა მან და ჩვენი სტუმრობა უსაქმურთა სტუმრობად მიიჩნია.

მას მერე იარა ქარდავამ გადელიასთან, იარა, მაგრამ, რა დაგკარგვია და რას ეძებ.

— შენც მოცლილი ხარო, — უთხრა გადელიამ და მოიშორა.

ნ. გადელია ამ ბოლო ხანებში სხვა სამუშაოზე გადავიდა, მაგრამ მისი „ნამოღვაწარი“ უცვლელად დარჩა. უკანონოდ მოხსნილი ქარდავა ისევ უმუშევარია და განცხადებების წერის მეტი არაფერი არ დარჩენია „მოცლილს“.

ჰოდა, ჩვენც მართლა მოვიცალეთ იმისათვის, რომ ნ. გადელიამაც მოიცალოს და პასუხი გავცეს, რა მოტივებით იხელმძღვანელა, როცა ეკ. ქარდავას ხსნიდა და რა მოტივით ხელმძღვანელობდა მაშინ, როცა უუარნალის რედაქციაში მიცემული პირობა მაუღქვეშ ამოღო.

გვეპატიოს, თუ ჩვენც მისი საქციელი მაუღქვეშ არ ამოვდეთ და საჯაროდ გავიტანეთ მზის სინათლეზე.

რას იზამთ, პატივცემულო ნ. გადელია, ასე იცინა „მოცლილებმა“.

იმედია თქვენს გამრუდებულ საქმეს ვასწორებენ. მაგრამ „ნამოღვაწარს“ ხომ არ დაგიკარგავთ. ჩვენ ისე გართ „მოცლილები“, თორემ კეთილი გულის პატრონები და სამართლიანი ადამიანები ვართ.

ი. გერსამია  
მ. ქარაზა



ნ.ხ. ღონისა  
— რა კარგი ხმა ჰქონია ჩვენს ღირექტორს!  
— სამსახურში დაამუშავა ჩვენთან ყვირილში!

სპეციალობა არაფერი ჰქონდა ისაკს, არც ღმერთს მოუმაღლებია, არც მოშობლებს მიუციათ და არც თვითონ შეუწუხებია თავი მისი მიღებისათვის, მაგრამ ბუნებამ თუ ერთი ღირსება არ მისცა ადამიანს, მეორეს მისცემს, ჰოდა, ისაკს, სპეციალობა თუ არ მისცა, შნო და მარიფათი მისცა, ალო და გერგილიანობა მიანიჭა, სულ სხვა მხრიდან შეამკო და დაამშვენა.

სწორედ ეს ისაკ მოშეს-ძენასსლეტაშვილი ეწვია ქ. ფოთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ღირექტორს.

— სპეციალობა გაქვთ?  
— არა.

— განათლება?  
— არა... არა, მაგრამ შნო

და მარიფათი მაქვს ისეთი, აყვავადები და აგაყვავებთ, დაუსახლდები და დაგასახლებთ, — მიუგო ისაკმა.

დაურტყეს სელი ერთმანეთს, რადგანაც იცნო გული და გული და გადაწყვიტეს მიუმატონ ღონეს ღონე და შეერთებული ძალით გაიტანონ ღელი.

მიიღეს ისაკი მუშად. იქცა ისაკი კომბინატის წამყვან მუშაკად.

კომბინატი იმიტომ მოსწონდა ისაკს, რომ ამ სიტყვის ფუძეში სედავდა თავის მოწოდებას — კომბინატი იმიტომ ჰქვია ამ წარმოებას, რომ იქ კომბინაციები უნდა სდებოდესო.

ისაკს ბაქოდან ჩამოჰქონდა ავტომანქანის წუნდებული საბურავები და კომბინატის რეზინის გადამმუშავებელი საამ-

ქრო გართული იყო მათი გადამმუშავებით.

მაგრამ მოხდა ისე, რომ როცა ისაკმა ბაქოდან 150 ცალი საბურავი ჩამოიტანა რეზინის გადამმუშავებელი საამქრო გაუქმებული აღმოჩნდა.

— რა ვუყოთ ამ საბურავებს? — დაისვა კარდინალური კითხვა.

— მე მოვეუვლი, — ბრძანა ისაკმა, — თონდ ოფიციალურად დამავალეთ მათი გასაღება, რა ვიცი, კაცნი ვართ, ვინმემ შარი არ მომდოსო.

დაიწერა ბრძანება № 222, რომლითაც დაევალა ისაკს საბურავების რეალიზაცია, ხოლო რა ფასებში ეს თვითონ ისაკს მიენდო: სანდო კაციაო, იფიქრეს.

დადგა რიგი ისაკის „მალაზიასთან“. „ვოლგის“ საბურავები 50 მანეთად საღდებოდა, „პობელის“ — 40 მანეთად, „მოსკვიჩის“ — 30 მანეთად.

ასე გაასაღა ისაკმა 97 ცალი საბურავი. და სწორედ გასურებული მუშაობის დროს შეუშალეს სელი.

— ვას, რა ხალხი ხართ, მე რას მერჩით, მე სპეკულანტი კი არა ვარ, დაწესებულების საქონელს ვყიდი, მე რა, ჩემი ნებით ხომ არ ვყიდი, ბრძანებით დამავალეს. რა ფასში ვყიდი? ვისაც როგორ უჭირს და რა შესაძლებლობაც აქვს, ისე ვყიდი. მთავარია დაწესებულებამ არ იზარალოს, რაც ზედმეტი გადარჩება. იმასაც მოვეუვლი, გამოვიყენებთ, აბა ხომ არ გადაყერი. ასეთ პასუხებს იძლეოდა ისაკი და თავს უდანაშაულოდ თვლიდა.

ამის შესახებ თუ რას იტყვიან ან რას ფიქრობენ ქ. ფოთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მესვეურები, ჯერ ცნობილი არ არის.

3. ნიკოლოზიფვილი



# ტყუარა და ტყუარი

ბავშვობაში, ალბათ, გაგიგონიათ ზღაპარი: „მთის აქეთა მხარეს ცხოვრობდა სულდი, მთის იქეთა მხარეს — ბულდი...“

ეს იყო და ეს, შიშით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. ორივენი, სულდიცა და ბულდიც, ბრწყინვალედ ამტკიცებდნენ ერთ-ერთი უძველესი ანდაზის ტყუარობას: „უნას ძვალი არა აქვს“-ო.

ბარისა და გარის შორის, რომლებიც ასეთივე თანამიმდევრობით სცემენ პატივს იმავე დღეებს, კიდევ უფრო ნაკლები განსხვავებაა. მათ შორის არავითარი წყალგამყოფი (მთის სახით) არ არსებობს. გარი გამოირჩევა ბარისაგან მხოლოდ იმით, რომ იგი დემოკრატიული პარტიის წევრია და მის საბრძოლო დროშას სახედარი ახატია, ხოლო ბარი რესპუბლიკელია და მის ხატზე სპილოს კეთილშობილი სახეა აღბეჭდილი. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ თქვენ შეგწვეთ უნარი განასხვავოთ ვირის ყურები სპილოს ხორთუმისაგან, თქვენთვის ნათელი იქნება ასე პროცენტით მთელი სახეობა აშშ-ის ორ, წამყვან პარტიას შორის. მაგრამ თუ როგორ ანსხვავდებიან შინაურ და გარეულ ცხოველებს ამერიკაში, ეს ამ ქვეყნის შინაგან საქმეს წარმოადგენს და ჩვენ მასში არ ვერუვით. ამიტომ ჯობს ისევ ჩვენს გმირებს დავუბრუნდეთ.

სულდი... გვაპატიეთ, გარი — ხირსიმიასა და ნავასაკის ატომური ტრაგედისა და ცივი ომის ერთ-ერთი გამომწვევი ავტორთაგანი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი — გარი ტრუმენია.

ბულ... პარდონ, ბარი — რესპუბლიკელების ერთ-ერთი შესაძლებელი კანდიდატი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე, სენატორი არიზონიდან — ბარი გოლდვოთერი გახლავთ, რომელიც დღეს უკვე თავით გადაეშვა „ბოთქარ ზღაპრში“ — წინასწარჩევნო კამპანიაში. დღეისათვის, როდესაც სხვა მეტოქეებმა, შეიძლება ითქვას, სახლიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, მან უკვე მოიარა ქვეყნის თითქმის ნახევარზე მეტი. ვინ მოთვლის, რამდენი სიტყვა წარმოთქვა და რამდენ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. იგი ინდიელი ბელადის ტანსაცმელშიც კი ნახეს გამოწყობილი და სახედარზე უკუღმა მჯდომიც (ესეც თქვენ, დემოკრატებო!). მაგრამ ეს არავის გაკვირვებია: ასეთი მოქმედება ამერიკელ „ცოფიანთა“ ჩვეულებრივი ამბულაა. უფრო მეტ გაკვირვებას მისი მონოლოგები (ე. წ. წინასწარჩევნო სიტყვები) იწვევს: ასეთი რამ საცივის კედლებს გარეთ ნორმალურ კაცს წარმოუდგენლად მიაჩნია. მაგრამ ბარი ისტიბარს არ იტყვის, რთავს უკანასკნელ სიჩქარეს და ყვითელი სახლიდან პირდაპირ თეთრში მიიჩქარის.

ცნობები ამის შესახებ უკვე გამოქვეყნდა პრესაში. აი, მაგალითად, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ცნობა: „ბარი გოლდვოთერი გამოვიდა საკუთარი სახლიდან (ამ სახლის ფერის შესახებ აღნიშნული სააგენტო მორცხვად დუმს), რომელიც 100 ათასი დოლარი ღირს, და 100 ჟურნალისტის წინაშე განაცხადა, რომ ის თანახმაა თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე პრეზიდენტის პოსტზე“.

იმ მომენტში, როდესაც ბარი ამ განცხადებას აკეთებდა, მას უკანა კიდური თაბაშირში ჰქონდა: მან ფეხი მოიტეხა წინასწარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. ახლა ამბობენ ამერიკელები, ჯობია, მან თავს მიხედოს-ო. მაგრამ უბრალო ამერიკელებსაც რომ დავანებოთ თავი, ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ თვით რესპუბლიკელთა პარტიის ეროვნული კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ბრაუნსის განცხადებას: „ის, რომ მას ფეხი თაბაშირში აქვს — კარგია. მაგრამ უკეთესი იქნებოდა მისთვის თაბაშირით პირი ამოეხსო!“

შეფოთებული იყო თვით რესპუბლიკელი „ნიუ-იორკ ტაიმსიც“, რომელიც აღნიშნავდა: „არ ვფიქრობთ, რომ უმეტრება ისეთი თვისება იყოს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტს შეშვენის“-ო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბარის საქმე ისე წავიდა, რომ ნიუ-ჰემპშირში ჩატარებული წინასწარი არჩევნების შედეგად მან სასტიკი დამარცხება განიცადა. ბოროტი ხმები ამტკიცებენ, რომ ამ არასასიამოვნო ამბის შემდეგ ბარიმ გულამაჩუყებელი წერილი მისწერა გარის: „ძვირფასო კოლეგა! ვერაფერი გამიგია, რა ხდება ამ სამყაროში. განა შეიძლება ჩვენს კეთილშობილ საზოგადოებაში ანტიკომუნისტის წმინდა იდეალებისათვის იჩაგრებოდეს ადამიანი? დამარცხება ნიუ-ჰემპშირში ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო და ისიც ვისთან! ჰენრი კებოტ ლოჯთან, რომელსაც ვიეტნამიდან ცხვირიც ვერ გამოუყვია და ერთი წესიერი წინასწარჩევნო სიტყვაც არ უთქვამს! მითხარი, კოლეგა, როგორ მოახერხებ შენ თავის დროზე პრეზიდენტობა და მე რატომ არ გამოიმდის? რატომ უნდა მე“ დადეს ვილაც ემეტ ჰიუსი „ნიუსუიკის“ ფურცლებზე“ ასეთი რამის წერას: „გარი ტრუმენ- ექს-პრეზიდენტი, ბარი გოლდვოთერს კი ეს აღარ ეღიროსება. იგი მხოლოდ ექს-კანდიდატად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგანაც არიზონელი სენატორის კანდიდატურა უკვე მკვდარია“.

მეგობრულად გთხოვ ამისხსნა...“ და ა. შ.

ამბობენ გარიმ ვერაფერი ვერ უპასუხა ბარის. მხოლოდ გაიფიქრა: წავიდა ის დროს, როდესაც ბედურები იხტებოდნენ და მოედანი რჩებოდათ... თუმცა რა შუაშია აქ ან სახედარი, ან სპილო? მაინც ვერაფერს გავარჩევს, სად იწყება „რესპუბლიკელი“ ბარი და სად მთავრდება „დემოკრატი“ გარი? სპილოს სახედარის ყურები აღმოაჩნდა, — არც ესაა გასაკვირი განწირულთა შორის.

ჯანნი ბარა

# შინაური

ზოგ ტრანსპორტზე სავარძლები შევავიკეთეს, „შეგვისწორეს“, რომ დავჭექი, წამბარებმა ერთ არშინზე შემისროლეს. ასადგომად ავიწიე, მავთულებმა ჩამიხვიეს და ახალი შარვლის უბე ბილეთით გამიხიეს.

არც ის მახსოვს, რა დამაკლო. არც ის ვიცი, რა მაქამა.

რა ყოფილა წუნი, ლაქა, „ქატო იქა, ფქვილი აქა“.

\* \*


რა ყოფილა წუნი, ლაქა, „ქატო იქა, ფქვილი აქა“.

ფეხსაცმელი შევიძინე ლამაზი და პრაქტიკული, ზუხტად ჩემი ფეხის სარგო, სწორედ ჩემი არტიკული. ჩავიცვი და მის შემეკრავს, რომ ვლოცავდი ჩუმად გულში, უცხად ლანჩამ ტაში დასცხო, შინ მივედი „ტაში-ტუში“.

ავტომატმა სასაუზმოდ დღეს ნამდვილად გამახარა, დავაჭირე სახსლეტს თითი, „პურ-მარილი“ დამაყარა. მეტი რაღაც მოეშალა, გამტანჯა და გამაწამა.

რა ყოფილა წუნი, ლაქა, „ქატო იქა, ფქვილი აქა“.

ბრ. ჩიშვილი



ნახ. ბ. შირსხალავასი



69

— უდიდესი სალამი ჩვენს ძვირფას ძმას და მეგობარს, პატივცემულ სევასტიანს!  
— დაავციანეთ, ორი დღეა დირექტორად აღარ ვმუშაობ!

## სიღისხანაგაბადი

ანონიმის წერა  
დაუწერა წერამ!  
წაიგრაძელა ხელი  
სხვათა გულის მწველად.  
ბევრჯერ გადაწერა,  
ბევრჯერ გადმოწერა;

მწერი ხატა მწყერად;  
მწყერი ხატა მწერად.  
განა მართლა წერამ  
დაუწერა წერა?!  
კბენს შურ-ღვარძლის მწერი  
და გულს იფხანს წერით.

წ. შამანაძე

ქვირვასო ნიანგო

მე ქველვი კაცი ვარ, მიყვარს და მასარებს ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება, მისარია ტექნიკა არნახული და გიგანტური ნაბიჯებით რომ მიდის წინ და სასწაულებს ახდენს, მაგრამ ერთი რამე ძლიერ მაწუხებს და მინდა ცაბა და ქვეყანას შევიჩვილო ჩემი უდროოდ გასიებული გულის ტკივილი:

ქველვიდან სიღნაღში რომ გინდოდეს დარეკვა, ითბის მოთმინებით უნდა აღიჭურვო, მოცილილი და უსაქმური უნდა იყო, არადა გულის საწაღელის ახდენას ვერა და ვერ ეღირსები, იჯდები, იჯდები, ნერვები დაგველიჯება, გული ამოგივარდება საგულედან და მერე, რა იყო, შე კაცო, შევიდეთიანი ხომ არა ხარ, ცოტა მოთმინება იქონიეო, ვეტყვიან და.



იცით თუ არა თქვენ, რას უდრის ჩვენებური „ცოტა მოთმინება“ — ეს ერთი-ორი საათი მაინც არის. გავა ერთი-ორი საათი და მერე, მოთმინებადაკარგული რომ ეტყვიან ფოსტის მუშაკს, ისევ და ისევ ტკბილად ვიპასუხებთ, შე კაცი კაცო, ამდენი მოგითმენია და ცოტა კიდევ მოთმინებ, ნემსებზე ხომ არა ზიხართ. ბოლოსდაბოლოს, რომ მოთხოვ გაგარკვიოს საქმის ვითარებაში, ქვედა არხილოს დააბრალებს, არხილო — სიღნაღს, სიღნაღი — გურჯაანს და, თუ ძიძას შუა ბავშვი დაიკარგავთ, რომ იტყვიან სწორედ ისეთ დღეში ვვარდები. თუ ოდესმე ადრესატთან შეგაერთებს, ადრესატის ხმაზე უფრო რადიოგადაცემები გვემის და აბა მიდი და მოითმინებ, თუ კაცი ხარ.

საყვარელო ნიანგო, ერთი გაგვაგებინებ, შენი ჭირიმი, ჩვენი კავშირგაბმულობა გაგვაბმევენებს კავშირს ჩვენს ადრესატებთან თუ არა და ოდესმე მოეღებო თუ არა ამ ერთიმეორისათვის გადაბრალებას ბოლო?

კიდევ ერთი სათხოვარო გვაქვს და იქნება შეისმინო ჩვენი აჯა.

თვითონაც კარგად მოგესვენებათ, რომ ქვედა სიღნაღში შედის და 70-80 კმ მანძილია მათ შორის.

ამ ტექნიკის საუკუნეში ერთი სარკისო ავტობუსი რომ გაუშვან სიღნაღი-ქვედის გზაზე, ნუთუ მართლა დასავლება რაიმე?



უბიქსტო ხუმრობა

ისევ შენი იმედი გვაქვს, იქნება შეასმინო, ვისაც ჯერარს და ამიგრძე გზაზე ფხვით სიარულში არ გააყვანინოთ ჩვენი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი.


ქველვი

აბტიცეველვი ნიანგო

თქვენს მახვლო თვალს ქვეყნად რა გამოპარვია, ჩვენი სოფელი რომ გამორჩენილია! პოდა, მოგესვენებათ, რომ ს. წირქვალი არცთუ ისე ხელწამოსაკრავი სოფელია საჩხერის რაიონში. სხვა რომ არაფერი, როგორც ყველა სოფელში, აქაც არის კოლმეურნეობა, სასოფლო საბჭო, კულტურის სასლი, ბიბლიოთეკა, შემნახველი სალონო და ა. შ.

ისიც კარგად მოგესვენებათ, რომ, რამდენიმე ხნის წინათ, წირქვალის დაწვებითი სკოლა რვაწლიანად გადაკეთდა და ახლა ჩვენი ბავშვები მისულიებივით აღარ გადიან ყოველდღიურად 4-5 კილომეტრს. გვაქვს, აგრეთვე, საექიმო პუნქტი, თქვენ წარმოდგინეთ, ექიმის შტატიც, მაგრამ თვითონ ექიმი არ გვაქვს უკვე მესამე წელია. აქეთ ვეცით, იქით ვეცით; რაიონულ გაზეთშიც გავწერეთ, მაგრამ, თქვენც არ მომიხვდეთ, ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ ჩვენ სოფელში რომ ერთი თვითრხალათიანი ექიმი გაეფრიალებინა. ის ისე სანატრელ ოცნებად იქცა, რომ ახლა ჩვენში ვინმეს რომ ცხვირს დააცემინებებს, ეტყვიან — ექიმის მოსვლაზე არაფერი გეტყვინოსო და ისიც მადლობას ისდის, მართლაც და ამაზე კარგს რას უსურვებ.

არადა, რაღაც სასწაული რომ მოხდეს და მიქელ განრიგლივით გამოგვეცხადოს ექიმი, ხალხს არ გაუკვირდება და იმას იტყვის, როგორ, მართლა შეცდიან ხომ არ მოგვევლინაო. საქმე ისაა, რომ ტრანსპორტის საქმეც მოშლილია ჩვენში, ხან ერთი-



დანჯღრეული ავტობუსი დაბოგინობს, ხანაც საბარგო ტაქსი. უფრო ხშირად არც ერთია და არც მეორე. გრაფიკო? რაეა გეკადრება, ბატონო! რა ვერაფიკებათ ჩვენს შოფრებს.

პოდა, ვართ ასე, ჩვენი ნიანგო, ველოდებით და ველოდებით. ვითომ, ამათა ჩვენი ლოდინი? წირქვალელთა სახელით.

ვოგია წარბა

ქვირვასო ნიანგო

იქ, სადაც მოდულუნე, მღვრიე მტკვარი ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს ჩაუდის, ერთი ცნობილი რესტორანი-კაფე მდებარეობს, „ნად-კურთის“ რომ ეძახიან.

ქუსენ ალახვერდოვიც იქ მოღვაწეობს როგორც მიმტანი, თუმცა მიმტანის კი არა, წამგლეჯის სახელი უფრო შედგამოჭრილი იქნებოდა მისთვის. მაგრამ ქუსენის ნაღდი უყვარს და ჩვეიც ნაღდი ფაქრით ვილაპარაკოთ.



აი ანგარიში № 5, რომლის ავტორიც ქუსენია და რომელსაც მისივე ავტორგრაფი აწმევენებს.

ქუსენი, უპირველესად, ანგარიში ერთი ჯონჯოლის ადგილას ოთხს ჩადის, 200 გრამი ძხვების ნაცვლად — ოთხასს და ასე შემდეგ, ხოლო შემდეგ ერთსა და იმავე კერძის ერთსა და იმავე ოდენობას ორჯერ წერს სხვადასხვა ადგილას და შემდეგაც, შედეგით კმაყოფილი თუ არ დარჩა, როგორც მისთვის სასარგებლოა, ისე გამოიყვანს ჯამს.

ქუსენის რომ ჰქონოთ, რატომ აკეთებ ამასო, ასე გეტყვის, მე უფროსები მყავს, ბიძიაო.

საინტერესოა, რას იტყვიან ამაზე მისი უფროსები.

გუშტარი


აბტიცეველვი ნიანგო

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება, ნათქვამია. მაგრამ რისგან არის, რომ მცხეთაში ასანთის ფაბრიკასთან ძეგვი-ნიჩბისის მტკვრისაგან ძირგამოთხრილი გზაზე ურემიც გადავარდა, ავტომანქანაც, მაგრამ არც გზა გამოჩენილა და არც გზის გამკეთებელი. ადიდებული მტკვრის წყალი მალე რკინიგზასაც გამოუთხრის ძირს, მერე რა მოხდება, ჯერ არ ვიცით.

ბუნების ძალამ ჯანი მითელი მისცეს, გული მზიარული საქართველოს გზათა მშენებლობის სამმართველოს და აკ რკინიგზის სამმართველოს ზოგიერთ მუშაკს ასეთი არხეინობისა და ჭირში სიმარცხისათვის.

ვ. არაგველი

ნახ. ლ. მართაშვილინსა  
335  
14/1/64



ორვაბათი დილით.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 4/V-1964 წ. კად. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14, შეგვ. № 1131. უფ. 04299. ტირაჟი 40000

ნახ. ვ. ლომიძისა

1970 წელს გერმანიის სამხედრო მანქანებში, მისი ხელმძღვანელების გეგმით, უნდა „მოამზადოს“ 1.600 ათასი კაცი. ესე იგი დაახლოებით იმდენი, რამდენიც ყავდა ჰიტლერულ არმიას წარსული ომის წინ.



ვახუშტი ვასილვაძე.